№ 91 მაისი 8, პარასკევი 1887 მაისი 8, პარასკევი № 91


# ივერია

გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის სტამბაში, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**თეკლე ივანეს ასული ტატიშვილისა და კონსტანტინე ფრიდონის ძე კორინთელი** მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ასულისას თვისისას და მეორე თავის მეუღლის დისას **ნინა ალექსის ასულის ტატიშვილისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ საკუთარის სახლიდამ ქაშვეთის ეკკლესიაში, შაბათს, 9 მაისს, დილის 9 საათზედ. (1—1)

**ტფილისი, 7 მაისი**

მას აქედ რაც შნებელეს საქმემ გამოჰყო თავი თ. ბისმარკის მანქანებითა, პოლიტიკაში დიდი არაფერი მომხდარა. თ. ბისმარკმა, რომელიც აქამდე ხმლით იმუქრებოდა, ეხლა საომარ მოედნად ჟურნალ-გაზეთობა გახადა და ხმლის ტრიალის მაგიერ დღეს მარტო მეგაზეთეთა კალმების წრიპინილა გვესმის. დღეს დიდი ომია ატეხილი ერთის მხრით გერმანიისა და რუსეთის გაზეთების შორის და მეორეს მხრით—გერმანიისა და ავსტრიის გაზეთებისა.

საქმე იმაშია, რომ ერთმა თ. ბისმარკის ბძანების უმორჩილესმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ გერმანიას არავითარი ბრალი არა აქვს, რომ ავსტრი-ვენგრიამ ბერლინის კონგრესზედ ბოსნია-ჰერცოგოვინა ჩაიგდოვო და ამის ბრალს რუსეთსა სდებდა. რუსეთიო, ამბობდა იგი, მინამ გამოუცხადებდა ოსმალოს ომსაო, ჯერ ავსტრიას დაეკითხა და დაჰპირდა, თუ შენ არ მიეშველები ოსმალოს და იმედს მომცემ ომში არ ჩამოერევიო, მე შენ ბოსნიას და ჰერცოგოვინას დაგითმობო. ეს წინადვე ჰქონდათ ერთმანეთში გათავებული და როცა ომის შემდეგ ბერლინის კონგრესი შესდგაო, მაშინ ავსტრი-ვენგრიამ ამ ორის ქვეყნის დაპყრობაზედ ლაპარაკი ჩამოაგდო და რაკი რუსეთის დიპლომატებმა წინააღმდეგი არ გაუწიესო, ბერლინის კონგრესმა აიღო და ბოსნია-ჰერცოგოვინა დააჭერინა ავსტრი-ვენგრიასაო.

ეს ამბავი ძალიან იწყინა მაშინდელმა მთავარ-მინისტრმა ავსტრი-ვენგრიისამ ანდრაშიმ, რომელიც რუსეთის მტრად ითვლება. ახლა ამან თავის გაზეთის პირით გამოაცხადა, რომ ავსტრი-ვენგრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა დაიპყრო წინასწარ მორიგებით-კი არა რუსეთთან, არამედ ჩემის ხერხით და ოსტატობითაო. გაიმართა ამათ შუა გამათობა და იქამდე მივიდა საქმე, რომ ორისავე მხრით დიპლომატებს წამოსცდათ გაცხარების გამო ის, რაც წამოსათქმელი არ იყო. გერმანიის გაზეთებმა გამოსთქვეს, რომ მაშინ გერმანიისათვის სულ ერთი იყოვო ავსტრი-ვენგრია დაიჭერდა ბოსნია-ჰერცოგოვინას თუ არაო და თუ დაიჭირა, მარტო რუსეთის მადლობელნი უნდა იყვნენო. ავსტრი-ვენგრიის გაზეთებმა ამაზედ ეს უპასუხეს, რომ ჩვენ წყალობა არავისგან მიგვიღია, აქ მარტო ხერხი და ოსტატობა ჩვენის მაშინდელის მინისტრებისა მოქმედებდა და იგი ძლიერება ავსტრი-ვენგრიისა, რომელიც ავსტრი-ვენგრიის მტერთათვის უოველთვის საფრთხე და მოსარიდებელიაო.

ამას ამბობენ ვენგრიის გაზეთები უფრო და ავსტრიისანი კი იმაზედ სწყრებიან, რომ გერმანია დღეს აქამომდე ჩვენდა გულითად მეგობრად გვაჩვენებდა თავსაო; აქედამ-კი გამოდისო, რომ ჩვენი სვებედი, ჩვენი ინტერესები ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ თ. ბისმარკის თვალში გროშადაც არა ჰღირებულაო; სჩანსო, რომ გერმანიას პირი ჩვენკენა ჰქონია და გული-კი სხვისაკენაო. ეს ძალიანა სწყინთ ავსტრიელებსა და ეხლა იძახიან, რომ გერმანიის პოლიტიკა სანდო არ არისო.

რუსეთის გაზეთებმა ცხარედ შეუბრუნეს სიტყვა თ. ბისმარკსა. ამათის სიტყვით, აღმოჩნდა, რომ მინამ რუსეთი ამ უკანასკნელს ომს გამოუცხადებდა ოსმალოს, სიფრთხილე მოითხოვდა, ზურგიდამ შიში არა ჰქონოდა და რადგანაც ამ მხრით მარტო ავსტრი-ვენგრია იყო საფიქრებელი, რასაკვირველია, რუსეთმა ჯერ აქ მოსჩხრიკა საქმეო. თ. გარჩაკოვმა, მაშინდელმა კანცლერმა რუსეთისამ, საგანგებო მოციქული გრაფი სუმაროკოვი გაჰგზავნა ვენაში მოსალაპარაკებლადაო. ამ მოციქულობის შედეგი ის იყოვო, ამბობენ რუსეთის გაზეთები, რომ თუ რუსეთი სტამბოლს დაიჭერდა და შიგ ჯარით ჩადგებოდა, მაშინ ბოსნია და ჰერცოგოვინა უნდა ჩამორთმევოდა ოსმალეთსა, ბოსნია დაეჭირა სერბიას და ჰერცოგოვინა ჩერნოგორიას და მარტო მცირეოდენი ნაწილი ბოსნიისა, ავსტრიის სამხრო, დაეჩემნა ავსტრიასაო. თუმცა რუსეთმა გაიმარჯვა და სტამბოლის ზღუდეებთანაც მივიდა, მაგრამ სხვა-და-სხვა საპოლიტიკო მიზეზთა გამო სტამბოლი ველარ დაიჭირა და ჯარით შიგ ვერ შევიდაო. რაკი ესე მოხდა საქმე, რუსეთი სრულად თავისუფალი იქნა და დადებული პირობა თავისთავად გაუქმდაო. ამიტომაც სან-სტეფანოს მორიგების ხელ-შეკრულობაში ბოსნია და ჰერცოგოვინა დამოუკიდებელ ქვეყნებად არიან აღიარებულნიო. ამ საფუძვლით რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ ბერლინის კონგრესის დღის წინაშე ავსტრი-ვენგრიას და რუსეთს ერთმანეთთან არავითარი ხელ-შეკრულობა არა ჰქონიათ ბოსნია-ჰერცოგოვინას თაობაზედაო და რაც ბერლინის კონგრესში მოხდა, სულ თ. ბისმარკისა და ლორდ ბიკონსფილდის ბრალიაო.

რასაკვირველია, ამ ბაასსა და შეგამათებას არავითარი შედეგი არ ექმნება იმისთანა, რომ საფიქრებელი და სანაღვლელი იყოს და თუ ჩვენ მოვიყვანეთ ეს ამბავი, მარტო იმიტომ-რომ გვენიშნებინა,—რაკი ამისთანა ამბავზეა მოცლილი ეხლანდელი პოლიტიკა, სჩანს ამის გარედ ყველაფერი ან დაწყნარებულად უნდა გვეჩვენოს, ან ერთსა და იმავე ყოფაში მდგომარეად. ესეც არის თვალად.

გაზეთი «Times»-ი ამბობს, რომ არც ეგვიპტის, არც ბოლგარიის საქმემ ერთის ნაბიჯითაც წინ ფეხი ვერ წადგაო. ეგვიპტის საქმეზედ ბევრ ნაირი ხმები დადისო. ამბობენო, ვითომ საქმე იმაზე შედგაო, რომ ინკლისი ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანისათვის ვადას ხუთის წლისას ითხოვს და ოსმალეთი კი მარტო წელიწადს ნახევარს ჰყაბულობსო. ესეც დასაჯერებელი არ არისო, რადგანაც დღეს სულთანი ისე გართულია სხვა საქმეებში, რომ ჯერ ამისათვის არც კი მოუცლია და უიმისოდ ხომ ვერას გაათავებენო. საფრანგეთის გაზეთი „Memorial Diplomatique"-ი ამბობს, რომ ყოველ ამაში მარტო ის არის დასაჯერებელი, რომ დღეს მარკიზი სალისბერი უფრო მორბილებულია ამ ეგვიპტის საქმეში და დათმობისათვის ბევრს აღარას ურჩობსო.

რაც შეეხება ბოლგარიის საქმეს, ეგ საქმე დღეს სალაპარაკო საგანია მარტო რუსეთის ელჩისა და ოსმალეთს შორის. ევროპამ თითქო ყური მოიყრუა. თვალად კი ესეა და საქმით ვინ იცის? დიპლომატიასაც, როგორც ცალკე კაცს, გული შიგნითა აქვს.

ხოლო არ შეიძლება ჩვენს მკითხველებს სამი საგანი არ ვანიშნოთ, იმისთანა საგანი, რომელიც

---

# ფელეტონი

## დიდი ხორეშანა *)

(ლეგენდა)

ამ სამასიოდე წლის წინად, მე-XVII საუკუნის დამდეგს, შაჰ-აბაზი I-ი ცბიერობით შემოვიდა საქართველოში, აღაოხრა ეს მშვენიერი ქვეყანა, კახეთიდგან მრავალი მკვიდრი აჰყარა, წაასხა და წაიყვანა სპარსეთს. კახეთს მმართველად დაუნიშნა ალავერდი-ხანი. ქართველთ დაადო ხარკი და ამასთანავე ბრძანება გასცა, რომ ამიერიდგან საქართველოს მეფე უსათუოდ უოფილიყო მაღიარებელი მაჰმადის სარწმუნოებისა. ხარჯს გარდა ქართველთ თთვე-და-თთვე შაჰისათვის უნდა მიერთმიათ ორმოციოდე უმშვენიერესნი ქალნი. ამ ქალებს შაჰი ზოგს თვითონ ინარჩუნებდა, ზოგს-კი უფეშქაშებდა ხოლმე თავის დიდებულთ. მაგრამ ალავერდი-ხანს თავის ხელმწიფისაგან მიღებული საჩუქარი ეტოტავებოდა და თვითონაც კახეთში აწიოკებდა ხალხს და იტაცებდა ლამაზ ქალებს. უნდა ვსთქვათ, რომ ეს ალავერდი-ხანი წინამძღვრობდა უიზილბაშთა ცხენოსანს ჯარს და დაბანაკებული იყო ქალაქ თელავის ახლო. ყოველ დღე იგი ქორმებბრებით სანადიროდ წავიდოდა ხოლმე და საღამოზედ-კი დროს ატარებდა თავის კარავში.

შაჰ-აბაზი საქართველოს აოხრების შემდეგ, როგორც ვსთქვით, წავიდა სპარსეთს და იქიდგან თვალ-ყურს ადევნებდა აქაურ საქმეებს. ერთხელ იგი დამშვიდებული იჯდა თავის კარავში და რაღაზედაც ჰფიქრობდა. ამ დროს შევიდა მასთან უფროსი მდივან-ბეგი და მოახსენა: «გიახლათ, ხელმწიფეო, საქართველოს მეფის მოციქული საჩუქრებითა».—შემოიყვანეთო, ბრძანა მოკლედ შაჰმა. შემოვიდა მაღალი, ტანადი და ლამაზი თავადი ქართლისა და მოწიწებით მიართვა „ლომსა ერანისტანისასა" ხილით სავსე კალათა.

— „ჩოს გოზალ-დურ" (ძალიან მშვენიერია, ესე იგი ხილი მშვენიერიაო), ბრძანა ხელმწიფემ. მერმე აიღო ერთი წითელი ვაშლი, შესჭამა იგი, გულ-კი ხელის გულზე გამოჰყარა და უბრძანა მოერთმიათ შუბი; შუბი დასცა ნიადაგს, გულ-კიც გადმოაბნია, მიუბრუნდა ქართლელს თავადს და უთხრა:

— «სალამი მოახსენე შენს მეფესა და უთხარი, რომ მანამ ამ გულ-კებით წალკოტი არ გაშენდება და მე იმ წალკოტის ხეხილის ნაყოფს არ ვიგემებ, მანამ თქვენის ქვეყნიდამ არ გამოვალ; იქ მე მძინავს უფრო მშვიდობიანად მინამ აქ, სპარსეთში.

— „ბელი" (ბატონი ხარ), უპასუხა თავადმა, რომელიც შაჰის სასახლიდამ გამოვიდა ფრიად შეწუხებული ასრეთის დამცირებისა გამო თვისის მეფისა და საყვარელ სამშობლოსი. ამ დროს მოუვიდა შემდეგი ფიქრი: „გაჰწირავ ჩემს საყვარელს, ჩემს მშვენიერს ხორეშანას... მამული უფრო მკირფასია!.."

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ამ თავადს ერქვა შიო. მისი მამულ-დედული მდებარეობდა ქართლ-კახეთის მიჯნაზედ, იგი იყო ქართლელი, ცოლი-კი ხორეშანა კახელი ქალი იყო. იმ დროს, რა დროსაც ჩვენ ვიხსენიებთ, შიო და ხორეშანა ორიოსამის თთვის შეუღლებულნი იყვნენ. სამწუხაროდ, მატიანედამ არა სჩანს, რომელის გვარისანი იყვნენ ეს დიდებულნი ცოლ-ქმარნი.

ამ დროს ქართლის მეფე თავადებითა და ჯარით იდგა მცხეთის ახლოს. თუმცა მეფე დამარცხებული იყო და შაჰის ერთგულებას და მორჩილებას აცხადებდა, მაგრამ ეს მორჩილება გარეგნული იყო; ნამდვილად-კი იგი ემზადებოდა მტრისათვის სამაგიერო გადაეხადნა. ძლიერი სამღვდელოება, დიდებულნი და გლეხნი ერთმანერთს ჰფიცავდნენ ქვეყნისთვის თავდადებას.

ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა შიო მივიდა თავის სახლში და საყვარელს ხორეშანას შესძახა:

— იხსენ სამშობლო!

— რას ბრძანებ, ბატონო, უძლურმა დედა-კაცმა როგორ იხსნას სამშობლო, როდესაც უძლიერესნი თავადნიც, შეკრებილნი მეფესთან მცხეთის ახლოს, ვერ ახერხებენ ამას!

— იქ, სადაც არაგვი არაგვიანი ერევა ხმოვანსა და შფოთიანს მტკვარსა, იქ შეკრებილა ქართველი ლაშქარი. ეს უკანასკნელი ძალაა, მეტი აღარსად არი, და ეს ძალაც ფრიად მცირეა, ერთი მუჭა. უიზილბაშთა რიცხვი-კი უთვალავია. ჩვენ რას გვიზამთ ასეთს ძალას? ბატიოსნად თუ თავს შევაკლავთ, თორემ სხვა არა გამოვა რა. მაგრამ ეს მსხვერპლი რას უშველის სამშობლოს? ხოლო იცოდე, სადაც ვაჟკაცნი თავადნი ვერას მოაგვარებენ, იქ სუსტს დედა-კაცს ბევრი შეუძლებია. მკლავის ძალით-კი არა, შეყვარებულის გულის გრძნობით შესწირე თავი!.. საღამოს ვარსკვლავიდამ დილის ცისკრამდე შენი სიყვარული დაუთმე კახეთის ხანს ალავერდის!..

ხორეშანი გაქვავდა.

—სამშარია ქართველთათვის არა უფრო-სი ურდო შაჰისა მისის ურიცხვის ჯარითა,—განაგრძო შიომ, არამედ ლომის ადერბეიჯანისა,—ხანი ალავერდისა. თუ იგი განუდგა შაჰსა—საქართველო განთავისუფლებულია! და მისი ხსნა, განთავისუფლება საჭიროა, რაც უნდა იყოს, საჭიროა და მხოლოდ შენ, მარტოკა შენ შეიძლებ ამას, შეიძლებ არა ღონით, არამედ შენის თავის გაწირვით! დაგვიდგა ჟამი უმაგალითო, განუზომელისა და განუსაზღვრელის მსხვერპლისა, რომელიც მხოლოდ სამშობლოს სიყვარულს შეუძლიან მოგვთხოვოს...

და დიდხანს კიდევ ელაპარაკებოდა ქმარი ცოლსა და საკვირველ, გასაოცებად იყვნენ სიტყვანი მისნი, სიტყვანი, რომელთ მაგვარი ჯერ მსოფლიოს არა ესმენია. ბოლოს ხორეშანამ შეიგნო სიდიადე მსხვერპლისა; თავის სიტყვარულით აღსავსე გულის უსაზღვრო სიღრმეში ჰპოვა უცნობი ძალა და დასთანხმდა.

მალე ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ ხორეშანას კახეთში, ალავერდი-ხანის ბანაკში. იგი შეწუხებულია და თრთის. თრთოლა-შეწუხებამ უფრო მეტი შნო მისცა მის სინაზე-სილამაზეს. ალავერდი-ხანი წინასწარმეტყველის მაჰმადის წვერს ჰფიცულობს, რომ ხორეშანასთანა მშვენიერება არსად არ მანახავსო. დაღამდა. გუგუმთია. სიბნელემ მოიცვა არე-მარე.

*) ლეგენდარული გარდმოცემა ხორეშანზედ მოხსენებული აქვს აგრეთვე ვ. პატტოს თავის თხზ. „Кавказская война"-ს პირველის ტომის მეორე ნაწილში. ავტ.

ახალია და ამასთანავე ცოტად თუ ბევრად მიზეზიანი. ერთი ისა, რომ კრიტის კუნძულზედ გულ-ამღვრეულობა არ დაწყნარებულა, თუმცა წესი-კი ხელ-ახლად აღდგენილია. ხმა დადის ვითომ ინგლისი ჰცდილობს ამ გულ-ამღვრეულობას გამოარჩეს რასმე და ამიტომაც ჩუმ-ჩუმად აქეზებს კრიტელებს ითხოვონ, რომ ინგლისის მფარველობის ქვეშ ყოფნა გვინდაო.

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ავღანის ემირის საქმე ჯანდრაკულად არის. ინგლისის მეცადინეობა, რომ როგორმე მოარიგოს ემირი თავის წინააღდგომილ ქვეშევრდომებსა, უქმად ჰრჩება. ამის გამო საქმე იხლართება და ორი დიდი მოსაზღვრე სახელმწიფო, ცალ მხრივ რუსეთი და მეორეს მხრივ ინგლისი, იძულებულ იქმნებიან ასე თუ ისე საქმეში ჩაერიონ. აქამდე ხომ ისე იყო, რომ აქ ავღანისტანში ინგლისი მეტად თავ-გამოდებული იყო რუსეთის წინააღმდეგ. ეხლა-კი ვენიდამ უცნობებიათ საფრანგეთის გაზეთისათვის „Journal des Débats“, ვითომც ავსტრიის საპოლიტიკო წრეებში ამტკიცებენო, რომ ინგლისის მთავრობას მოუწადინებია რუსეთთან მორიგება და ამისათვის ძალიან ჰცდილობს კიდეცაო.

აი ეს ორი საქმე იმ სამთაგანი, რომელიც წინამორბედ ნიშნებად უნდა გვეჩვენონ, რომ შესაძლოა ევროპის პოლიტიკამ სხვა გზა აირჩიოს და სხვა მიმართულება მიიღოს, თუ გაზეთების სიტყვა გამართლდა. მაგრამ ყველაზედ მძიმედ დასაფიქრებელი საქმე მესამეა: დღეს მოსულმა დეპეშამ გვაცნობა, საფრანგეთის მთავარ-მინისტრი გობლე იძულებულ გამხდარა მთელის თავისის სამინისტროთი დასთხოვნოდა სამსახურსა. ამას-კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელის პოლიტიკის ვითარებისათვის. რას ჰნიშნავს ეს ამბავი, რომელსაც გაზეთები წინადაც-კი ჰგრძნობდნენ?

თუ დავუკვირდებით იმას, რომ თ. ბისმარკმა ორჯელ გაილაშქრა სიტყვით, რასაკვირველია, საფრანგეთზედ რომ გაამწაროს, აწყენინოს და საომრად თავი გამოადებინოს,—ამაში ხომ ბისმარკს მარცხი მოუვიდა და გობლეს სამინისტრო უშიშრად დახვდა ბისმარკსა, არც თავი დაამცირებინა საფრანგეთს და არც ბისმარკის მახეში გააბმევინა. თქმა არ უნდა, რომ ესეთი თავ-გამოდებული და გულ-და-გულ დასახვედრი პოლიტიკა საფრანგეთის სამინისტროსი არ მოეწონებოდა ბისმარკსა. აქ ხომ არ არის შინაგანი მიზეზი გობლეს სამსახურიდამ გამოსვლისა? თუ მიზეზი ეს არის, რა თქმა უნდა, საფრანგეთი თავ-გამოდებულს, უშიშარს სამინისტროს უიმისოდ არ დაუთმობს ბისმარკსა, თუ კარგი სართი არ დაადებინა.

ეს ამბავი ძალიან ჭკუას ახლოა: თ. ბისმარკი, რომელიც ამ ბოლოს ხანებში იმაზე იყო გადაგებული, რაც შეიძლება ბევრი მომხრე იშოვოს ევროპაში, დღეს თითქმის თვითონ ჰრჩება მარტო. ავსტრი-ვენგრიას გული აემრიზა ბისმარკზედ, როგორც ზევით მოგახსენეთ, რადგანაც საბუთი მისცა ეთქვა, რომ თ. ბისმარკი პირად ერთი ყოფილა და გულით კი სხვა. ინგლისი რუსეთს უახლოვდებაო, საფრანგეთიც ხომ ამოღებულ ხმალსავით წინ უდგა ბისმარკსა, და რა საკვირველია, რომ ამ გაჭირებამ მიახედოს ბისმარკი საფრანგეთისაკენ იმ განზრახვით, რომ საფრანგეთი მაინც დააჩუმოს და სასყიდლად ამ დაჩუმებისათვის შეაძლიოს რამ გულის მოსაფხანი. და რადგანაც ეხლანდელი სამინისტრო გობლესი ცოტად თუ ბევრად შორს უდგებოდა ბისმარკსა, არც ის არის დაუჯერებელი, რომ საფრანგეთმა იძულებულ გახადა გობლე ადგილი დასცალოს სხვა სამინისტროსათვის, რომელიც უფრო სასიამოვნო იქმნება ბისმარკისათვის, რომ საფრანგეთმა თავისი გაიტანოს უსისხლოდ. აქ დაუჯერებელი არა არის-რა. ვინ იცის? იქნება აქ იყოს სათავე იმისი, რომ საფრანგეთის პალატამ პირველ შემთხვევასვე ჩაავლო ხელი და გობლეს მიზეზი მისცა სამსახურიდამ გასვლისა.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრებამ 5 მაისს გაათავა თავისი საქმეები. უკანასკნელს ორს დღეს დღეში ორჯელ შეიყრებოდა ხოლმე კრება: დილითა და საღამოთი. უკანასკნელი კრება გათავდა ღამის 12 საათზედ. კრებამ ბევრი დრო მოანდომა იმ წესდების შეცვლის პროექტის განხილვას, რომელიც ცალკე კომისიამ შეადგინა. ამ პროექტის გამო ბევრ გვარი ლაპარაკი და საკმაოდ ცხარე კამათობა ასტყდა. კრებამ უარ-ჰყო სრულიად ეს პროექტი. ბოლო კრებაზე არჩევნები იყო. დირექტორად აირჩიეს უწინდელი დირექტორი თ. ალექსანდრე ზაალის-ძე ჩოლოყაშვილი და მის კანდიდატად თ. ლ. ვაჩნაძე, დამფასებლად უწინდელივე დამფასებელი თ. რ. ჩოლოყაშვილი და ლ. ჩერქეზიშვილი. ეს უკანასკნელი არჩეულ იქმნა ბ-ნ რატიშვილის მაგიერ.

*** სამშაბათს, 12 მაისს, არტისტი ვ. ალექსი-მესხიშვილი არწრუნისეულს თეატრში ჰმართავს თავის სასარგებლოდ ქართულს წარმოდგენას. ითამაშებენ აკაკის ისტორიულს პიესას: „თამარ-ცბიერი“. ამბობენ, რომ ბ-ნი მესხიშვილი სხვაგან აპირობს წასვლას და ეს წარმოდგენა გამოთხოვების წარმოდგენა იქნებაო.

*** დღეს, 8 მაისს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი. განსახილველია 11-ზე მეტი სხვა-და-სხვა საგანი. მათ შორის აზრი ივანენკოსი, რომ ხელ-მეორედ გადაისინჯოს საბჭოს გარდაწყვეტილება მიხეილის ქუჩაზე მუფის ბაღების დაფასების გამო; აზრი დოლუხანოვისა ცარიელ მიწების დაფასების თაობაზე; აზრი კაიდანოვისა, რომ თავ. მაჩაბელი მიწვეულ იქმნას საფინანსო კომისიაში, და სხვანი.

*** გუშინ-წინ, 6 მაისს, დიდი სეირნობა იყო დანიშნული ლორთქიფანიძის „ტრამვაი“-ში მუშტაიდის გვერდზედ. საღამო ჟამს ხალხი ბევრი შეიკრიბა როგორც მუშტაიდში, ისე ტრამვაიში. ფაეტონები ზედი-ზედ მიჰქროდნენ ამ გასართობ ქალაქ გარედ ადგილებისაკენ. დიდს გაჭირვებაში ჩავარდება ხოლმე ხალხი, როცა გადადის იმ ხიდზე, რომელიც მუშტაიდისა და ტრამვაის შუაა გამართული, მეტადრე მაშინ, როცა ფაეტონები გადადის. ეს ხიდი ისე ვიწროა, რომ შედგება თუ არა ფაეტონი ზედ, იმდენი ადგილი აღარა რჩება, აქედ-იქით კაცი დაეტიოს. არ იქნებოდა ურიგო, რომ ლორთქიფანიძეს თავის ხარჯით გაეგანიერებინა ეს ხიდი და უფრო მეტი მუშტარი მიეზიდნა თავის ტრამვაიში.

*** 6 მაისს, საღამოს 6 საათზედ, მნაცაკანოვისა და თამამშოვის წისქვილს შუა შავის სოფლის მხრიდგან ჩასულა მტკვარში მებოჯე, აუვსია წყალი და როცა გამობრუნებულა, ცხენს, რომელიც ჰყოლია ბოჭკაზე გამობმული, წყლისკენ გაუწევია. აქ ძალიან ღრმაა წყალი და მაშინვე აუტიტივებია ცხენებიცა და ბოჭკაცა. მებოჯე გადმოხტა წყალში და დაიღუპა. ცხენები და ბოჭკა კი გადაარჩინეს და პატრონს ჩააბარეს. მებოჯე სოფელ ბოგვიდამ იყო და სულ ახალგაზდა კაციაო. ერთის საათის შემდეგ მენავენი მოვიდნენ, ბევრი ეძებეს დაღუპული კაცი წისქვილის ახლო-მახლო, მაგრამ ვეღარ იპოვეს.

*** ამას წინად გვწერდნენ გორის მაზრიდამ, რომ სოფელს ბრეთში კვალწმინდად დაიკარგა 7—8 წლის ყმაწვილი და ურიებს დააბრალეს, იმათ მოიტაცესო. ეხლა ჩვენ შევიტყეთ ნამდვილად, რომ ყმაწვილი ფრონის წყალს მოუტაცნია თევზაობის დროს და მტკვარში ჩაუტანია ორის კვირის შემდეგ ეს ყმაწვილი შემთხვევით უპოვნია მტკვარში ერთს რუსულს კაცს, რომელიც ბადეს ისროდა და ბადეს-კი გამოჰყვა თურმე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთები აქამდე დიდს გაჭირებაში იყვნენ. მოუვა გაზეთს რაიმე ამბავი ვისსამე ავ-კაცობაზე, ბოროტ-მოქმედებაზე, უნდა გაზეთს საქვეყნოდ გამოაშკარაოს ამისთანა ამბავი, ქვეყანაში გამოიყვანოს ავის, ან გასაკიცხავე საქმის ჩამდენი და თან ვერც გაუბედავს. ვერ გაუბედავს იმიტომ, რომ მაშინვე საქმე დაიწყებოდა სასამართლოში სახელის გატეხაზე, შეურაცხყოფაზე,—ერთის სიტყვით, თავს გამოჰყოფდა ესრედ-წოდებული „დიფამაცია“. გაზეთი უმეტესს ნაწილად ერიდებოდა ამ გვარს საქმეებს, ერიდებოდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ სასამართლო სასტიკად სჯიდა ან საგრძნობელ ჯარიმას ახდევინებდა ამ გვარ დანაშაულობისათვის და მეორე—ძნელი უფრო კიდევ ის იყო, რომ გაზეთს ნება არ ეძლეოდა, თავი ემართლნა.

დღეს, ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სჯულ-მდებელთ ცოტა კეთილის თვალით მოუხედნიათ გაზეთებისათვის. აი გაზეთი „Русскія Вѣдомости“ რას გვაუწყებს:

სჯულ-მდებელთ განუზრახავთ კანონი „დიფამაციის“ შესახებ ცოტად შესცვალონ, ე. ი. ბრალდებულს ნება ეძლევა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ დაამტკიცოს ის ამბავი, რომელიც ვითომ ვისმე სახელს უტეხავს ან შეურაცხყოფას აყენებს, ნამდვილიაო. ჩამოთვლილია აგრეთვე, ვის ან რა საგნების წინააღმდეგ არის აღკრძალული წერა. სხვათა შორის დასახელებულია, რომ გაზეთს არ შეუძლიან შეეხოს

---

ჭექს და ჰქუხს მთებში, შხაპუნა წვიმას ასხამს მინდორ-ველსა, ქარიშხალი იტაცებს სპარსთა კარვებს. ალავერდი-ხანს არ ეშინიან არც ჭექა-ქუხილისა და არც ქარიშხლისა. რა შეაშინებს ვაჟკაცს, რომლისაც მშვენიერებათა ხელმწიფეს პირისპირ უდგა! ალავერდის აბრეშუმის კარავში გაცხარებული ბაასია. იგი იმ მსხვერპლს ვერ გასწირავს, რასაც ბეჯითად სთხოვს ქართველი ქალი. მზად იყო დაეთმო ქალისათვის ყოველივე თვისი ძვირფასეული ნივთები, მაგრამ შაჰის ღალატს კი ვერ იტვირთებდა. ხორეშანა ჯერსა ჰყოფს ყოველსავე და მხოლოდ შაჰის ღალატს ითხოვს. რამდენჯერმე ხანი ბრაზით აღივსო, რამდენჯერმე იძრო ხანჯალი და მოუღერა ხორეშანას, მაგრამ ვერა, ვერ დაიყოლია, ვერ გადაათქმევინა უძლურ არსებას გულის წადილი. ხორეშანა სალის კლდესავით იდგა და სთხოვდა, შაჰს უღალატეო.

მეორე დღეს ხანი იჯდა თვის კარავში დაღრეჯილი და გაასპიტებული ფლავსაც კი ხელს არ აკარებდა. მთელს ბანაკში სიჩუმე ჩამოვარდა და არავის არ შეეძლო ხმა აემაღლებინა. ამ ყოფაში დაღამდა. შუა-ღამისას ალავერდი იძულებული შეიქმნა დასთანხმებოდა ხორეშანას. ხორეშანამ მოითხოვა ფიცი. ალავერდიმ მაჰმადის წვერი შეჰფიცა.

დილით მთელი ბანაკი მხიარულობდა, ხანის მხლებელთა დიდი საჩუქრები მიიღეს. მაგრამ შაჰისაგან შიკრიკი მოვიდა და შეატყობინა, რომ ქართველთ ლაშქარი გამოვიდა მცხეთიდამ და შაჰი გიბრძანებს მთელის შენის ლაშქრით საჩქაროდ მომეშველეო.

— ბელი, ბრძანა ალავერდიმ და ბრძანება გასცა დაეჭედნათ ცხენები და მომზადებულიყვნენ შაჰის მისაშველებლად. ფიცი მივიწყებას მიეცა. ხორეშანამ გადასწყვიტა იმავე ღამეს თავი გაეგდებინებინა მოღალატეს. მაგრამ როდესაც ამ გარდაწყვეტილების აღსრულების ჟამი დადგა, ხორეშანას ჩაეძინა, ძილში გამოეცხადა ერთი ღრმად მოხუცებული კაცი, თეთრ-თმიანი, მწირის სამოსლით მოსილი, ბრწყინვალე და მშვიდობიანის სახისა. მოჩვენებამ აღმართა ხელნი და აკურთხა ხორეშანა.

— ღირსი არა ვარ, მამაო,—შეჰყვირა ხორეშანამ—ღირსი არა ვარ შენის კურთხევისა. მე წავიწყმიდე თავი ურჯულოს სარეცელზედ და მოვამზადე ხელნი ჩემნი იმის მოსაკლავად.

მოხუცმა განაგრძო:

— უტევე შენს განძრახულებას, შენ, უკეთესო ასულო ივერიისაო! ნუ მოჰკლავ ალავერდი-ხანს, რამეთუ იგი მოწოდებულ არს მოსახსნელად დიდის საქმისა: მისი სიცოცხლე იხსნის სამშობლოს, მისი სიკვდილი აღადგენს ნგრეულ-ნაოხარს სავანეს, რომელსაც მე დავსტირი მრავალსა ჟამსა. შენს მამულსა და დიდს მსხვერპლს გაანბრწყინვებს კურთხევა ეკლესიისა. დილით აცნობე ხანსა, რომ შენ გსურს იგემო ხორცი მისის ნანადირევისა.

მოხუცმა ხელ-ახლად აკურთხა მუხლ-მოყრილი ხორეშანა და გაჰქრა..

გათენდა. ხორეშანამ მოახსენა ხანსა, რომ მსურს გემო შენ მიერ მოკლულის ჯეირნის მწვადისო. მაშინათვე გასცა ბრძანება და მთელი დასტა მონადირეთა ზურნითა და დაფით წავიდა წმიდა გიორგის სავანესაკენ ტყე-ველის მოსანადირებლად. ბევრი ნადირი დაჰხოცეს, მერე მიმინოები მიუტიეს ფრინველებსა. «გაანადგურო დედა-მიწა, გაანადგურო ჰაერიცა»,—ჰყვიროდა გალაღებული ალავერდი-ხანი. აი, მისი პირველი, თავი მიმინო გამოეკიდა კაკაბსა, მაგრამ ისე ზარმაცად, უნდომლად, რომ კაკაბები შორს გაფრინდნენ, გაასწრეს. ალავერდი აღელდა, გაასპიტდა, თავზედ ხელ-აღებული მიაქროლებდა თავის ბედაურსა და უტევდა მიმინოსა. ამ დროს კარგა მოშორებით ალაზნის პირას მუხლებზედ იდგა განდეგილი და ლოცულობდა სამშობლოს ხსნისათვის მტერთაგან. მიმინო კიდევ ეწეოდა კაკაბსა. აი ბრჭყალები გაშალა, ნისკარტიც მოამზადა თავის მსხვერპლის ჩასაკრავად, მაგრამ დახე განგებას: კაკაბი უცბათ მოტრიალდა, დაეშვა ძირს და შეეფარა მლოცავ მწირ-ბერის კალთებ ქვეშ. მიმინო ნელის ფრენით დასტრიალებდა მლოცავსა. ალავერდიმ მიაჭენა ცხენი ბერისკენ და მივიდა-რა, მაღალის ხმით დაუყვირა:

— გამოაფრთხე კაკაბი?

განდეგილმა ლოცვა არ შესწყვიტა.

— შენ გეუბნები, გამოაფრთხე?

განდეგილი მხურვალედ ევედრებოდა უფალსა და სთხოვდა სამშობლოს ხსნას. მთელი მისი სულიერი არსება აღფრენილიყო ცად მიმართ და ამიტომ აქაურს ქვეყანას ამ წუთში აღარ ეკუთვნოდა.

— მაშ მე ყურსაც არ მათხოვებ, ამაყო გიაურო (ძაღლო)! — დაიღრიალა ხანმა; ხანჯალმა გაიბრიალა; მოხვდა თუ არა იგი მოხუცის თეთრს წვერსა, მყის შეიმუსრა. ხანი ჩამოვარდა ცხენიდამ და ხელი, რომელშიაც ეჭირა ხანჯლის ტარი, შეახმა.

განდეგილი ისევ ლოცულობდა.

სასწაულით ზარ-დაცემული ამაყი ხანი ლმობიერებაში მოვიდა.

— მაპატიე ცოდვები, ემვედრებოდა იგი განდეგილსა; მომარჩინე ხელი და გემსახურებ მას ქრისტიანთათვის.

განდეგილის კურთხევამ განუკურნა ხელი და სხივი სარწმუნოებისა მოეფინა ალავერდის ბნელსა და აქამომდე უგრძნობელს გულსა.

ქართველნი დაუპირისპირდნენ შაჰსა. ორთავეს ალავერდის მოშველების იმედი ჰქონდათ. შეიქმნა ბრძოლა. არავინ იცის, გამარჯვების სასწორი რომელ მხრისკენ გადიხრება. აი ალავერდის მხედრობაც გამოჩნდა. მტერნი მოელიან უკანასკნელს წამს. ალავერდი თავის ჯარს მოუძღვება მტრის პირ-და-პირ ქართველებზე. აი მოუახლოვდა, საცაა ჭექა-ქუხილი ასტყდება... ალავერდიმ უცბად პირი იბრუნა შაჰისკენ და ქართველებთან ერთად დაერია ყიზილბაშებს. სპარსელნი იძლივნენ საშინლად და გაიქცნენ.

ამ ბრძოლაში თავადი შიო მოკლულ იქმნა. მის გვამთან სამხედრო ტანსაცმლით მოსილი და იარაღით შეჭურვილი იდგა ახალგაზდა თავადი და ტიროდა. იგი იყო ხორეშანა, რომელიც იბრძოდა ქართველთ ჯარში სამშობლოს მტრებისა წინააღმდეგ. ალავერდიც სასიკვდილოდ დაიჭრა და სულ რამდენსამე დღეს-ღა იცოცხლა. თუმცა ძლივს-ღა სუნთქავდა, მაგრამ მოინათლა და მოკვდა ქრისტიანედ და ხორეშანას მეორე ქმრად. სიკვდილის წინად მთელი თავისი უთვალავი ქონება უანდერძა წმ. გიორგის (ალავერდის) ტაძარს, რომელიც დანგრეული იყო და რომელიც ისევ აღადგინეს და განაახლეს. ხორეშანა აღიკვეცა მონოზნად და მწირობაში გამოისყიდა თვისი უმაგალითო, დიდი, მაგრამ ცოდვილის გზით დაგვირგვინებული ღვაწლი.

ბოლოს მემატიანე დასძენს:

„არა ყოფილა და არცა იქნება ისეთი საყვარელი შვილი მამულისა, როგორიც იყო ქართლელი თავადი შიო; არა ყოფილა და არც იქნება ისეთი საყვარელი ცოლი, როგორც იყო გახელი ხორეშანაო.“

მ. ჯანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო სახელმწიფოს მეფეს, დიპლომატიის წარმომადგენელთ და აგრეთვე ადამიანის კერძო ცხოვრებას, ოჯახსა.

პროექტში გარდა ამისა დაწვრილებით არის ნაჩვენები ყველა გარემოება, რომლითაც უნდა იხელთ მძღვანელოს სასამართლომ იმის გარდასაწყვეტად,—მიეცეს პასუხის-გებაში გაზეთი, თუ არაო. მაგალითად, რედაქტორი პასუხის-გებაში ვერ მიეცემა იმის გულისთვის, რომ დაბეჭდა კორრესპონდენტის ან თანამშრომელის რაიმე ამბავი, თუნდ ეს ამბავი ნამდვილიც არ გამოდგეს, რადგან რედაქტორს ხშირად არავითარი ღონე და შეძლება არა აქვს ამბის სინამდვილე შეიტყოს. მეტადრე თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ გაზეთს კეთილი განზრახვა ჰქონდა, როცა ჰბეჭდავდა რაიმე ამბავსა, სახელმწიფო და საზოგადო სარგებლობა ჰქონდა სახეში და არა კერძო ინტერესი,—ერთის სიტყვით, ამბავი იმიტომ არ დაჰბეჭდა, რომ ვინმე განგებ შეერცხვინა, გაეკიცხ-გაეკილვა მკითხველების გასართობად.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ყველა ეს მართალი გამოდგეს! გაზეთებს ცოტად მაინც ხელ-ფეხი გაეხსნებათ, რომ უშიშრად აასრულონ თავისი მოვალეობა. მაშინ ფრთები შეეკვეცებათ იმათაც, ვინც თაჳამად სდევნიდა გაზეთს, რადგან კარგად იცოდა, რომ გაზეთი კანონისაგან ცოტად შეხუთულია და თავის გასამართლებლად ღონის-ძიება არ ეძლევა.

* * *

გაზეთი „Новости“ შემდეგს ქებადიდებას უძღვნის ჩვენს გაზეთს „Кавказъ“-სა:

გაზეთი „Кавказъ“-ი მხოლოდ დღეს მოსულა გონს და ლაპარაკი გაუმართავს საზღვარ-გარედ წასასვლელ პასპორტების გარდასახადის გამო. მერე როგორ და რას ლაპარაკობს? როგორც ამ გაზეთს ჩვეულებათა აქვს, სატახტო ქალაქის გაზეთებიდამ აქ-იქ ალაგები ამოუგლეჯია და, ვითომ ამ გარდასახადის სასარგებლოდ, მოუჩმახავს რაღაც შორი-შორი და არეულ-დარეული ვითომ საკუთარი აზრი.

გაზეთს თავის აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთი ადგილი მოჰყავს გაზეთ „Кавказъ“-ის გრძელ და გაპიანურებულ წერილიდამ (გაპიანურებული წერილებიც ხომ ჩვეულებადა აქვს ჩვენს „Кавказъ“-სა). აი ეს ადგილი:

გაზეთი „Кавказъ“-ი სწუხს და თან ჰკიცხავს რუსეთის განათლებულს ხალხს, რომ სულ ევროპაში მიიხვეწებიან და აზიას-კი ყურადღებასაც არ აქცევენ. რა იზიდავს ჩვენს განათლებულებს დასავლეთისკენ, ევროპისკენ, სადაც ჩვენებს არაფრის შეძენა არ შეუძლიანთ და წაგებითაც ბევრს აგებენო.

დიახ, მართალი მოხსენება გახლავს, რომ ჩვენები ევროპაში არაფერს იძენენო,—დაიცინება „Новости“:

ცოდნისა, გამოცდილების, კულტურის, განათლების შეძენა,—ყველა ეს სიკეთე ისეთი რამ სისულელეა, რომელსაც ფოთი-ტფილისის ადამ სმიტების თვალში არავითარი ფასი არა აქვსო!..

ეს ახალი ამბავი არ არის. გაზეთს დავიწყებია, რომ იგივე ადამ სმიტები ამას წინად ქადაგებდნენ მაგარ კედლის აშენებას ევროპისა და აზიის შუა, რადგან ამ ევროპიდგან მარტო მავნე აზრები შემოაქვთ იქ წასულებს და სიკეთე კი არაფერიო.

# დეპეშა

5 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია, რომ სრულიად აღკრძალულ იქმნას ამ 1887 წ. გაზაფხულიდამ და არავინ აღარ იხმაროს სანათად ორთქლის და არა-ორთქლის გემებზედ ჩვეულებრივი ნავთი და ისეთს სანათს მიჰმართოს, რომელიც საშიში არ არის და ცეცხლს არ გააჩენს.

გამოცხადებულ იქმნა ის წესები, რომლის ძალითაც აღკრძალულია გაზიდვა ისეთის ნავთის მასალებისა, რომელიც საშიშია ცეცხლის გაჩენის მხრითა. ამ გვარი ნავთის მასალა არ ჩაისხმება გემში გადასატანად და არც იმ ვაგონებში, რომელსაც ცისტერნები ჰქვიან. გადატანა ამ გვარის ნავთისა შეიძლება მხოლოდ ლითონის ჰურჰლითა, ან მოჩინურებულის ბოჭკითა, რომელსაც რკინის სალტები უნდა ჰქონდეს მოჭერილი.

ოდესსა. სერბიის დედოფალი მემკვიდრეთურთ დღეს მობრძანდა იასსიდამ დილის 9 საათზედ. რკინის-გზის სადგურზე დედოფალს მიეგებნენ: ჯარების წინამძღვარი, ქალაქის უფროსი, ქალაქის თავი და პეტერბურგიდამ მოსული დესპანი გრუიჩი. დედოფალი ჩამოხტა სასტუმრო „Петербургъ“-ში.

ვენა. სოფიიდამ გვაუწყებენ, რომ ბოლგარიის მთავრობამ გარდასწყვიტა შეათოფ-იარაღოს პატრიოტულის საზოგადოების კომიტეტი.

როგორც ეტყობა, ზოგიერთი ბანკები ვენისა მზად არიან ხელი მოუმართონ ბოლგარიის მთავრობას, რომ 20 მილლიონი ფრანკი ისესხოს.

6 მაისი

პეტერბურგი. 4 მაისის საღამოს კოზლოვის რკინის-გზის სადგურზე მათ იმპერატორების უდიდებულესობათ მიეგებნენ: ტამბოვის გუბერნატორი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და მამასახლისნი.

დღეს, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღის გამო, სამეუფო ქალაქი მდიდრულად არის მორთული ბაირაღებით. ისაკის ტაძარში გადახდილ იქმნა სამეფო სასახლის დიდებულთა თანადასწრებით სამადლობელი პარაკლისი.

სახელმწიფო სეკრეტარს პოლოვცევს ებოძა უმაღლესის რესკრიპტით ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

„Новое Время“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ შემოდგომისათვის გადასდო განხილვა დებულებისა საერო უფროსების თაობაზედ.

პარიჟი. პალატამ უარ-ჰყო 275 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 257 მთავრობის მიერ მოწონებული აზრი იმის თაობაზედ, რომ შევუდგეთ ახლა სხვა მორიგე საქმეების განხილვასა, ვენდოთ მთავრობისა და საბიუჯეტო კომისიის მამულიშვილობასა და იმედი ვიქონიოთ, რომ მთავრობა და კომისია მორიგდებიან ერთმანერთში და აღადგენენ ბიუჯეტის სასწორსაო. ამ კენჭის ყრის შემდეგ მინისტრები გავიდნენ პალატიდამ და, პატარა ხანს უკან, გობლემ მიართვა გრევის ქაღალდი იმის თაობაზედ, რომ კაბინეტი სამსახურიდამ გადადგომასა თხოულობსო.

ბრიუსსელი. იქ, სადაც მუშებმა უწესოება მოახდინეს, მშვიდობიანობაა. მხოლოდ ლაკროუფში მოუვიდათ ჩხუბი მუშებსა და ჟანდარმებსა. ამ ჩხუბში ორი მუშა იქმნა მოკლული.

პეტერბურგი. გუშინ მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე მობძანდნენ ნოვოჩერკასკაში. უდიდებულესს მგზავრთა მისაგებებლად და დასახვედრად რკინის გზის სადგურზედ გამომწკრივებულ იქმნა ადგილობრივ ჯარის მიერ საპატიო ყარაული, იქავე შეიკრიბა მთელი გენერლობა და აგრეთვე ყველა მმართებლობის წარმომადგენელნი. მათ უდიდებულესობათ ყველაზედ უწინარესს მიეგება დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უფროსი. სობოროში უდიდებულესს მოგზაურთ მიეგებნენ კიევის მიტროპოლიტი პლატონი, ეპარქიის არქიელი და სხვა სასულიერო წოდების კაცნი.

7 მაისი

პეტერბურგი. გუშინ, წირვის შემდეგ, ნოვოჩერკასკში დონის ჯარს წაუკითხეს მეფის გრამატა. ხელმწიფე იმპერატორმა გრძნობით სავსე სიტყვაში მადლობა გამოუცხადა ჯარს ერთგულ სამსახურისა და პურადობისათვის და ჩააბარა ტახტის მემკვიდრეს კვერთხი (пернач-булава).

პეტერბურგის ბირჟა, 5-ს მაისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | 1 34 | — » |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 266 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 244 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ხ(უ)რთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | — » | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24—25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მაისი 31 დღით არის.

8 დღე პარასკევი. წმ. მოციქულ-მახარებელ იოანე ღვთის-მეტყველ., ღირს. არსენი დიდისა. კათოლიკ. წმ. მიქელისა. მუსულმანთა—მე-28 დღე შაბანის თვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56, ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—17. მთვარე 28 დღისაა.

9 დღე შაბათი. წმ. ნაწილთა ნიკოლოზ საკვ. მოქმედ.; წინ.-მეტყვ. ისაიასი; მიცვალება ღირსისა შიო მღვიმელისა. კათოლ. ნიკოლოზისა, გრიგორისა და ირენისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—18.

10 დღე კვირა, წმ. მოციქ. სვიმეონ მოშურნისა. კათოლიკთა—იზიდორასი და ანტონინასი. ჭეშმარიტი შუა დღე 11—56 ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—19

11 დღე ორშაბათი. მღვდელ.-მოწ. მუკისა სწ. მ. უმ. კირილე ვლადიმირის ძისა. კათოლ. წმ. მონიკისა, მამეტრისა, ფავიასი და იზაბელლასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—33, ჩადის 7—20. მთვარე 2 დღისაა.

თ. ჯიმშერ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს გარდაცვალებას თავისის სიდედრისას ქვრივის გენერალ-მაიორის თ. ხვიმონ იოსების ძის შალიკოვისას ეგდუქსია მიხეილის ასულისას და უმდაბლესად სთხოვს ნათესავთ და ნაცნობთ მობრძანდნენ გვამის გამოსასვენებლად 9-ს მაისს ათის საათის ნახევარზედ საპერნის ქუჩაზედ რევაზოვის სახლებში № 35, თბილისის სამების ეკკლესიაში. (2—1)

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით 12 ივნისს 1887 წელსა თბილისის ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ქუთაისის ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანელობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან საჳელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 23 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 26 ივნისს 1887 წელსა.

18⁷/₁₁ წლიანი სესხი

ქ. თბილისში

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: I განყოფილებაში, IV ნაწილში, განოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი ერთი ოთხ-სართულიანი, ხოლო მეორე ორ-სართულიანი და მიწა 236 კვადრ. საქ. თავნი ვალი 33157 მან. 16 კაპ. შეს. გარდ. 3723 მან. 59 კაპ. სულ 36880 მან. 75 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: I განყოფილებაში, IV ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 236 კვ. საქ. თავნი ვალი 14874 მან 22 კაპ. შეს. გარდ. 1534 მან. სულ 16408 მან. 22 კაპ.

მირზოევისა, ბარბარე მიხაილის ასულის: I განყოფილებაში, III ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე სამსართულიანი ქვითკირის სახლი, დუქნები და მიწა 138 კვ. საქ. თავნი ვალი 44865 მან. 78 კაპ. შეს. გარ. 4624 მან. 61 კაპ. სულ 49490 მან. 39 კაპ.

ყაზაროვისა, ავეტიქ კარაპეტის ძის: I განყოფილებაში, V ნაწილში, საზოგადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 103 კვ. საქ თავნი ვალი 7871 მან. 27 კაპ. შეს. გარდ. 537 მან. 23 კ. სულ 8408 მან. 50 კაპ.

შირიევისა, ივანე მიხაილის ძის: II განყოფილებაში, VIII ნაწილში, ჩუღურეთში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 149 კვ. საქ თავნი ვალი 11,019 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 787 მან. 47 კაპ. სულ 11807 მან. 22 კაპ.

ანდრონიკოვისა, ნიკოლოზ დავითის ძის: II განყოფილებაში, ოლგას ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, დუქნები და მიწა 300 კვ. საქ. თავნი ვალი 9694 მან. 58 კაპ. შეს. გარდ. 323 მან. 35 კაპ. სულ 10017 მან. 93 კაპ.

კოზლოვისა, იოსებ ელიასის ძის: II განყოფილებაში, პანასევიჩის და ნიკოლოზის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლები და მიწა 360 კვ. საქ. თავნი ვალი 13733 მ. 98 კაპ. შეს. გარდ. 1558 მან. 23 კ. სულ 15292 მან. 21 კაპ.

მამაცოვისა, ზაქარია იოსების ძის: XI ნაწილში, ახალ ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 223 კვ. საქ. თავნი ვალი 3635 მან. 51 კაპ. შეს. გარდ. 150 მან. 8 კაპ. სულ 3785 მან. 59 კაპ.

მიხაილოვისა, ნატალია თომას ასულის: I განყოფილებაში, II ნაწილში, კამენდანტის ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 150 კვ. საქ. თავნი ვალი 12118 მ. 25 კაპ შეს გარდ. 922 მან. 23 კ. სულ 13,040 მან. 48 კაპ.

მირზახანოვისა, იაგორ გრიგოლის ძის: კუკიაში, აგურის და ბაღის ქუჩების კუთხეში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 259 კვ. საქ. თავნი ვალი 8078 მან. 85 კაპ. შეს. გარდ. 774 მან. 57 კაპ. სულ 8853 მან. 42 კაპ.

ოძელოვისა, ნინო ივანეს ასულის: I განყოფილებაში, I ნაწილში, ოლგას ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საქ. თავნი ვალი 9108 მან. 45 კაპ. შეს. გარდ. 1005 მან. 22 კაპ. სულ 10113 მან. 67 კაპ.

თბილისის გუბერნიისა და მისივე მაზრისა

43¹/₂ წლიანი სესხი

მაღალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვანის აგარაში სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 141 დეს. 1720 კვ. საქ. თავნი ვალი 1921 მან. 94 კაპ. შეს. გარდ. 187 მან. 51 კაპ. სულ 2109 მან. 45 კაპ.

მაღალოვისა, სოფიო იოსების ასულის: თელოვანის აგარაში სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე 153 დეს. 440 კვ. საქ. თავნი ვალი 2893 მ. 52 კაპ. შეს. გარდ. 261 მან. 70 კ. სულ 3155 მან. 22 კაპ.

გორის მაზრისა

ერისთავისა, გრიგოლ პავლეს ძის: ნიგოზის აგარაში სახნავ-სათესი, ტყე და საბალახო 452 დეს. 60 კვ. საქ. თავნი ვალი 7687 მან. 55 კ. შეს. გარდ. 103 მან. 18 კაპ. სულ 7790 მან. 73 კაპ.

ყიფიანისა, დიმიტრი ივანეს ძის: ტაშის-კარის აგარას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 34¹/₂ კვადრ. საქ. თავნი ვალი 3979 მან. 70 კაპ. შეს. გარდ. 167 მან. სულ 4146 მან. 70 კაპ.

## ქუთაისის თავად-აზნაურთ სამადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემო მოყვანილს რიცხვებში ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანათი მანათად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიანთ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 23 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 ივნისს 1887 წელსა.

### ვაჭრობა 15 ივნისს 1887 წ.

### $18^{7}/_{12}$ წლიანი სესხი

### ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 კვადრ. საქ. თავნი ვალი 341 მან. 93 კაპ. შეს. გარდ. 72 მან. 4 კაპ. სულ 413 მან. 97 კაპ.

გოკიავასი, ალათიმოსეს ასულის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 241 კვადრ. საქ. თავნი ვალი 170 მან. 73 კაპ. შეს. გარდ. 53 მან. 45 კაპ. სულ 224 მან. 18 კაპ.

დარახველიძისა, მიხაილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საქ. თავნი ვალი 3480 მან. 46 კაპ. შეს. გარდ. 516 მან. 94 კაპ. სულ 3997 მან. 40 კაპ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ეოკზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საქ. თავნი ვალი 5712 მან. 80 კაპ. შეს. გარდ. 829 მან. 91 კაპ. სულ 6542 მან. 71 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საქ. თავნი ვალი 1766 მან. 45 კაპ. შეს. გარდ. 284 მან. 66 კაპ. სულ 2051 მან. 11 კაპ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საქ. თავნი ვალი 569 მან. 88 კაპ. შეს. გარდ 115 მან. 31 კაპ. სულ 685 მან. 19 კაპ.

ღულაძეთა: სოლომონ ნიკოლოზის ძის: სამსონ, სპირიდონ, ალექსანდრე და სიმონ კონსტანტინეს ძეთა: ანიაზის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 23 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2567 მან. 12 კაპ. შეს. გარდ. 431 მან. 17 კაპ. სულ 2998 მან. 29 კაპ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1790 მან. 81 კაპ. შეს გარდ. 234 მან. 24 კაპ. სულ 2025 მან. 5 კაპ.

თავდიდიშვილისა, დავით იოსების ძის: და ავსარქისოვისა, ფარსადან იაკობის ძის: აკოფოვის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 196 კვადრ. საქ. თავნი ვალი 6924 მან. 63 კაპ. შეს. გარდ. 941 მან. 30 კაპ. სულ 7865 მან. 93 კაპ.

ხარაზოვისა, ანნა გაბრიელის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 300 კვად. საქ. თავნი ვალი 3223 მან. 42 კაპ. შეს. გარდ. 516 მან. 34 კაპ. სულ 3739 მან. 76 კაპ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 442 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1074 მან. 37 კაპ. შეს. გარდ. 234 მან. 85 კაპ. სულ 1309 მან. 22 კაპ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვად. საქ. თავნი ვალი 560 მან. 68 კაპ. შეს. გარდ. 114 მან. 62 კაპ. სულ 675 მან. 30 კაპ.

გამრეკელოვისა, იოანე გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვის სახლი და მიწა 297,54 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1371 მან. 38 კაპ. შეს. გარდ. 151 მან. 82 კაპ. სულ 1523 მან. 20 კაპ.

ქუთათელაძეთა, კლემენტი პეტრეს ძის: და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1246 მან. 48 კაპ. შეს. გარდ. 142 მან. 99 კაპ. სულ 1389 მან. 47 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 კვადრ. საქ. თავნი ვალი 934 მან. 65 კაპ. შეს. გარდ. 124 მან. 22 კ. სულ 1058 მან. 87 კაპ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხეთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საქ თავნი ვალი 778 მან. 47 კაპ. შეს. გარდ. 122 მან. 52 კაპ. სულ 900 მან. 99 კაპ.

გაბუნიასი, ნატალია ქრისტეფორეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 284 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1482 მან. 79 კაპ. შეს. გარდ. 185 მან. 2 კ. სულ 1667 მან. 81 კაპ.

კიკიანისა, ტასია გლახუას ასულის: ზუბოვის შესახვევში ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 კვად. საქ. თავნი ვალი 389 მან. 27 კაპ. შესავ. გარდ. 169 მან. 7 კაპ. სულ 458 მან. 34 კაპ.

ლორთქიფანიძისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1212 მან 38 კაპ. შეს. გარდ. 200 მან. 11 კ. სულ 1412 მან. 49 კაპ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 კვადრ. საქ. თავნი ვალი 876 მან. 57 კ. გადასახადი 122 მან. სულ 998 მან. 57 კ.

მემკვიდრეთა თხორქევსკისა, სიმონ ვასილის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 189 კვადრ. საქ. თავნი ვალი 673 მან. 60 კაპ. შეს. გარდ. 79 მან. 10 კაპ. სულ 752 მან. 70 კაპ.

მებუკისა, ბესარიონ ვასილის ძის: ნემეცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 309 კვ. საქ. თავნი ვალი 19187 მან. 22 კ. შეს. გარდ. 1285 მან. 58 კაპ. სულ 20472 მან. 80 კაპ.

ლოლობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2042 მან. 98 კაპ. შეს. გარდ. 357 მან. 92 კაპ. სულ 2450 მან. 90 კაპ.

ზერგელისა, ნატალია მოსეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2139 მან. 10 კაპ. შეს. გარდ. 344 მან. 74 კაპ. სულ 2483 მან. 84 კაპ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1395 მან. 28 კაპ. შეს. გარდ. 217 მან. 72 კაპ. სულ 1613 მან.

რუხაძისა, ვასილი ბუჭუას ძის: და ახობაძისა, სტეფანე ანდრიასძის ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 116 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2441 მან. 73 კაპ. შეს. გარდ. 268 მან. 34 კაპ. სულ 2710 მან. 7 კაპ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2092 მან. 93 კაპ. შეს. გარ. 272 მან 68 კაპ. სულ 2365 მან. 61 კაპ.

ნაიტაკისა, ანნა ბესარიონის ასულის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვ. საქ. თავნი ვალი 279 მან. 3 კაპ. შეს. გარდ. 50 მან. 82 კაპ. სულ 329 მან. 85 კაპ.

ფირხაძისა, მამუკან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვად. საქ. 1 კვადრ. ალაბი. თავნი ვალი 3348 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 371 მან. 64 კაპ. სულ 3720 მან. 39 კ.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საქ. თავნი ვალი 837 მან. 14 კაპ. შეს. გარდ. 125 მან. 31 კაპ. სულ 962 მან. 45 კაპ.

ხუნჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილერიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1473 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2511 მან. 49 კაპ. შეს. გარდ. 290 მან. 90 კაპ. სულ 2802 მან. 39 კაპ.

წერეთლისა, სიმონ დავითის ძის: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1044 კვ. საქ. თავნი ვალი 13255 მან. 29 კ შეს. გარდ. 1268 მან. 83 კაპ. სულ 14524 მან. 12 კაპ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 63 კვადრ. საქ. თავნი ვალი 558 მან. 12 კაპ. შეს. გარდ. 100 მან. 59 კ. სულ 658 მან. 62 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 კვად. საქ. თავნი ვალი 1046 მან. 44 კ. გად. 175 მ. 46 კ. სულ 1221 მან. 90 კ.

ერისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1200 კვადრ. საქ. თავნი ვალი 10932 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 1144 მან. 16 კაპ. სულ 12076 მან. 91 კაპ

აღლავიძეთა, ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვადრ. საქ. თავნი ვალი 865 მან. 20 კაპ. შეს. გარდ. 132 მ. 24 კაპ. სულ 997 მან. 44 კაპ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 195 კვად. საქ. თავნი ვალი 5912 მან 11 კაპ. შეს. გარდ. 800 მან 28 კაპ. სულ 6712 მან. 39 კაპ

ბინიაურიშვილთა, არონ, დავით ისხაკა და მიხაილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 კვადრ. ს. თავნი ვალი 2451 მან. 48 კაპ. შეს. გარდ. 246 მან. 78 კაპ. სულ 2698 მან. 26 კაპ

მემკვიდრეთა გერაძისა, ნიკო გლახუას ძის: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 კვადრ. საქ. თავნი ვალი 721 მან. 2 კაპ. შეს. გარდ. 116 მან. 24 კაპ. სულ 837 მან. 26 კაპ.

გოკიელოვისა, იაკობ ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 288 კვადრ. საქ. ვალი 5047 მან. 27 კ. შეს. გარდ. 596 მან. 26 კაპ. სულ 5643 მან. 53 კაპ.

გაბაშვილისა, ისიდორე გიორგის ძის: მეოთხე საპრისტავოში ქვითკირის სახლი და მიწა 4 დესიატ. 102 კვადრ. საქ. თავნი ვალი 5047 მან. 30 კაპ. შეს. გარდ. 379 მან. სულ 5426 მან. 30 კაპ.

გაბუნიასი, მიხაილ ბექანის ძის და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 103 კვადრ. საქ. თავნი ვალი 721 მან. 2 კაპ. შეს. გარდ. 93 მან. 42 კაპ. სულ 814 მან. 44 კაპ.

დგებუაძისა, ლუარსაბ ნიკოლოზის ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლები და მიწა 198 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2163 მან. 9 კაპ. შეს. გარდ. 278 მ. 87 კაპ. სულ 2441 მან. 96 კაპ.

დუჩაიძისა, სოლომონ არტემის ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა 57 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2811 მან. 96 კაპ. შეს გარდ. 359 მან. 18 კაპ. სულ 3171 მან. 14 კაპ.

ეზიკოვისა, რაფაელ სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 44 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1730 მან. 38 კაპ. შეს. გარდ. 199 მან. 33 კაპ სულ 1929 მან. 71 კაპ.

ყაუხჩევისა ნინა გიორგის ასულის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 264 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2163 მან 2 კაპ. შეს. გარდ. 315 მან. 87 კაპ. სულ 2478 მან. 89 კაპ.

ამირაჯიბისა, ელისაბედ გრიგოლის ასულისა: ორპირის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 162 კვადრ. საქ. თავნი ვალი 3028 მან. 21 კაპ. შესავ. გარდ. 165 მან. 7 კაპ. სულ 3193 მან. 28 კაპ.

მაჩიტიძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საქ. თავნი ვალი 721 მან. 5 კაპ. შესავ. გარდ. 110 მან. 95 კაპ. სულ 832 მან.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიერის გორაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიწა 1800 კვადრ. საქ. თავნი ვალი 1946 მან. 78 კაპ. შეს. გარდ. 249 მან. 70 კაპ. სულ 2196 მან. 48 კაპ.

მემკვიდრეთა ნიკოლაძისა, ივანე მათეს ძის: გიმნაზიის და სათავადო ქუჩებს შუა ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი დუქნებით და მიწა 216 კვადრ. საქ. თავნი ვალი 11536 მან. 15 კაპ. შესავ. გარდ. 1103 მან. 53 კაპ. სულ 12639 მან. 68 კაპ.

ფირხაძეთა, მანუახა, აბრამა და შამოელა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 11,8 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2163 მან. 2 კაპ. შესავ. გარდ. 253 მან. 17 კაპ. სულ 2416 მან. 19 კაპ.

ცქიტიშვილისა, ფილიპპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვადრ. საქ. თავნი ვალი 288 მან. 47 კაპ. შეს. გარდ. 38 მან. 23 კაპ. სულ 326 70 კაპ.

ცაგარელისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 52 კვადრ. საქ. თავნი ვალი 721 მან. 3 კაპ. შეს. გარდ 120 მან. 20 კაპ. სულ 841 მან. 23 კაპ.

წერეთლისა, მარიამ ბერის ასულის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 398 კვადრ. საქ. თავნი ვალი 4326 მან. 8 კაპ. შეს. გარდ. 420 მან. 25 კაპ. სულ 4746 მან. 33 კაპ.

ჭიპაძისა, რომანოზ ნიკოლოზის ძის: ლენერლის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი, სარდაფით, და მიწა 243 კვადრ. საქ თავნი ვალი 865 მან 22 კაპ. შეს გარდ. 138 მან. 47 კაპ. სულ 1003 მან. 69 კაპ.

შამუაშვილთა: შალომა აბრამის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საქ 5 კვ. ალაბი. თავნი ვალი 3028 მან. 22 კაპ. შეს. გარდ. 328 მან. 47 კაპ. სულ 3356 მან 69 კაპ.

ბლოტნიცკისა, თეკლე გაბრიელის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლები—ქვითკირისა და ხისა და მიწა 120 კვადრ. საქ. თავნი ვალი 520 მან. 70 კაპ. შეს. გარდ. 105 მან 87 კაპ. სულ 626 მან. 57 კაპ.

ბუზიაშვილთა, არონ იაკობის ძის: და შომოელ, მიხაილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საქ. და 5 კვ. ალაბი. თავნი ვალი 2974 მან 87 კაპ. შეს. გარდ.

321 მან. 44 კაპ. სულ 3296 მან. 31 კაპ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2231 მან 13 კაპ შეს. გარდ. 266 მან. 23 კაპ. სულ 2497 მან. 36 კაპ.

მემკვიდრეთა ქებაძისა. სოლომონ გრიგოლის ძის: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 203 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2528 მან. 60 კაპ. შეს. გარდ. 240 მან. 89 კაპ. სულ 2769 მა 49 კაპ.

განდეგლაკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 300 კვადრ საქ. თავნი ვალი 2974 მან. 87 კაპ. შეს. გარდ. 307 მან. 25 კაპ. სულ 3282 მან. 12 კაპ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 კვადრ. საქ. თავნი ვალი 10498 მან. 74 კაპ. შეს. გარდ. 1151 მან. 6 კ. სულ 11649 მან. 80 კ.

მოსეშვილისა, ალექსი იოსების ძის: ლაზარეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 103 კვადრ. საქ. თავნი ვალი 594 მან. 98 კაპ. შეს გარდ. 72 მან. 57 კ სულ 667 მან 55 კ.

თავდიდიშვილისა, აბრამ მარდახას ძის ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 6 კვადრ საქ. 4 კვადრ. ალაბი. თავნი ვალი 1189 მან. 93 კაპ. შესავ. გარდ. 118 მან. 78 კაპ. სულ 1308 მან. 71 კაპ.

ჩარკვიანისა, ეკატერინა ანდრიას ასულის: მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 423 კვ. საქ. თავნი ვალი 595 მან. 1 კ. შეს. გარდ. 82 მან. 29 კ. სულ 677 მან. 30 კაპ.

ჭედიასი, პეტრე დავითის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 კვად საქ. თავნი ვალი 446 მან. 17 კაპ. შეს. გარდ. 80 მან. 32 კაპ. სულ 526 მან. 49 კ.

ელიგულაშვილთა, ყობო და მარდახ ისხაკის ძეთა: წულუკიძის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 81 კვად. საქ. თავნი ვალი 2231 მან. 14 კ. შესავ. გარდ. 229 მან. 7 კ. სულ 2460 მ. 21 კ.

ნაკაშიძისა, ბარბარე სოლომონის ასულისა: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ბაღით და მიწა 1314 კვად. საქ. თავნი ვალი 22972 მან. 1 კ. შეს. გარდ. 2365 მან. 15 კ. სულ 25337 მან. 16 კ.

